გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

წევრის გიორგი სოსიაშვილის

ანგარიში

გაწეული საქმიანობის შესახებ

2021 წლის 03 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით

მოგახსენებთ, 2021 წლის 03 დეკემბრიდან ვარ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პროპორციული სიით არჩეული საკრებულოს წევრი და შესაბამისად ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" წევრი, საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა და ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის კომისიის წევრი. მიმდინარე პერიოდში დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 170 საკითხის განხილვაში.

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" 8 სხდომას და მონაწილეობა მივიღე -117 საკითხის განხილვაში.

დავესწარი საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის - 3 სხდომას, სადაც განხილული იქნა- 11 საკითხი და საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის- 7 სხდომას, სადაც განხილული იქნა- 47 საკითხი.

2021-22 წლის განმავლობაში პერიოდულად ვხვდებოდი ჩემს ამომრჩეველს სადაც გამოვლინდა შემდეგი პრობლემები:

2021 წლის წლის 14 დეკემბერს შევხვდი სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მოსახლეობას, ახალგაზრდების ნაწილმა დაასახელელა სტუდენტთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის საკითხი.

2021 წლის 16 დეკემბერს შეხვედრა მქონდა პროფესიული პროგრამების განმახორციელებლებთან, სადაც ასევე გამოიკვეთა პროფესიული სტუდენტების ტრანსპორტით მომსახურების დაფინანსების საკითხი.

- 2021 წლის 17 დეკემბერს ასევე შეხვედრა მქონდა მოქალაქეებთან, სადაც დადგა საკითხი წარჩინებული სტუდენტების დაფინანსების თაობაზე.
- 2022 წლის 13 და 17 იანვარს შეხვდი სოფ. დიცის მოსახლეობას ისინი ითხოვენ სოფლამდე მისასველელი და შიუდა საუბნო გზების შეკეთებას.
- მიმდინარე წლის 11 იანვარს შევხვდი სოფ. დიცის მოსახლეობას, მათი სურვილია სოფელ დიცის სკვერის მოწესრიგება.

- მიმდინარე წლის 9 თებერვალს შეეხვდი სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის I კორპუსში სტუდენტებს, რომლებმაც ითხოვეს სტუდენტური საზაფხულო ბანაკის მოწყობა.
- 2022 წლის 16 თებერვალს შეხვედრა მქონდა პროფესიული პროგრამების განმახორციელებლებთან, სადაც ასევე გამოიკვეთა პროფესიული სტუდენტების ტრანსპორტით მომსახურების დაფინანსების საკითხი.

  2022 წლის 17 თებერვალს შეეხვდი პედაგოგებს სადაც წამოიჭრა პედაგოგთა უფასო ტრანსპორტირების საკითხი.

  2022 წლის 10 მარტს შეეხვდი სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის I კორპუსში ამომრჩეველს, ახალგაზრდების დასაქმების პორტალის შექმნა.
- 2022 წლის 16 მარტს შეხვედრა მქონდა უნივერსიტეტის პირველ კორპუსში სადაც წამოიჭრა საკითხი სტუდენტთა დასაქმების პროგრამის შექმნის თემა..
- 2022 წლის 17 მარტს შეეხვდი სტუდენტებს სადაც დაისვა შემდეგი საკითხები: საზაფხულო ბანაკები და ახალგაზრდებისთვის დასაქმების პორტალის შექმნა.
- 2022 წლის 07 აპრილს შეეხვდი მოსახლეობას, სადაც განვიხილეთ ახალგაზრდების ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალში ჩართვას.
- 2022 წლის 11 აპრილს შეხვედრა მქონდა მოქალაქეებთან, სადაც დადგა საკითხი წარჩინებული სტუდენტების დაფინანსების თაობაზე.
- 2022 წლის 13 აპრილს ასევე მქონდა შეხვედრა მოსახლეობასთან, სადაც განხილულ იქნა პედაგოგების შეღავათიანი ტარიფებით ტრანსპორტირების შესაძლებლობა.
- 2022 წლის 23 ივნისს შეეხვდი სოფელ ტყვიავში ხანძრის შედეგად დაზარალებულ ჩიხლაძეების ოჯახს, სადაც დავსახეთ აღნიშნული პრობლემის მოგვარების გზა..
- 2022 წლის 8 ივლისს შეხვედრა მქონდა სოფელ დიცში მოსახლეობასთან, სადაც განხილული იყო სარწყავი წყლის პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებული საკითხები.
- 2022 წლის 23 ივლისს შეეხვდი მოსახლეობას, სადაც განხილული იქნა სოფელ დიცში გზის შეკეთების პრობლემები.
- 2022 წლის 10 აგვისტოს შეხვედრა მქონდა მოქალაქეებთან, სადაც განხილული იქნა სასმელი წყლის პრობლემები.
- 2022 წლის 16 აგვისტოს შეეხვდი სოფელ დიცის მოსახლეობას, რომლებაც დააყენეს სოფელში რეკრეაციული ზონის შეკეთება/რეაბილიტაციის საკითხი.
- 2022 წლის 26 აგვისტოს შეეხვდი გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, სადაც განხილული იქნა მოქმედ მუზეუმებში და უფლისციხის-ისტორიულ - არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში ვიზიტისას სტუდენტებს განესაზღვროთ შეღავათიანი ტარიფები.
- 2022 წლის 08 სექტემბერს შეეხვდი მოსახლეობას, სადაც განხილული იქნა სოფელ ტინისხიდში მოსაცდელის კონსტრუქციის დამონტაჟების საკითხის პრობლემები.
- 2022 წლის 12 სექტემბერს შეხვედრა მქონდა ტინისხიდის მოქალაქეებთან, სადაც განხილული იქნა სასმელი წყლის პრობლემები.
- გორის მუნიციპალიტეტში მოქმედ მუზეუმებში, უფლისციხის-ისტორიულ - არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში და სსიპ ქ.გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატში ვიზიტისას სტუდენტებს განესაზღვროთ შეღავათიანი ტარიფები.

ამასთან, მოგახსენებთ რომ ყველა ზემთ ჩამოთვლ პრობლემება ჩემს მიერ დოკუმენტალურად ასახული მიწოდებულ იქნა საკრებულოს თავმჯდომარისთვის და შესაბამისად შემდგომი რეაგირებისთვის გადაგზავნილია აღმასრულებელ ორგანოში/ მერიაში .

სრულად და ნაწილობრივ მოგვარდა:

- სტუდენტური საზაფხულო ბანაკის მოწყობა.
- ახალგაზრდების ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალში ჩართვის საკითხი.
- წარჩინებული სტუდენტების დაფინანსების საკითხი.
- სოფელ ტყვიავში ხანძრის შედეგად დაზარალებულ ჩიხლაძეების ოჯახის პრობლემა.
- სოფელ დიცში სარწყავი წყლის პრობლემა.
- სოფელ დიცში გზის შეკეთების პრობლემა.
- სოფელ დიცის რეკრეაციული ზონის შეკეთება/რეაბილიტაციის საკითხი.
- ქ. გორში არსებულ მუზეუმებში და უფლისციხის-ისტორიულ - არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში და სსიპ ქ.გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატში ვიზიტისას სტუდენტების შეღავათიანი ტარიფით სარგებლობის საკითხი.

რაც შეეხება 2022 წლის 13 და 17 იანვარს სოფ. დიცის მოსახლეობასთან შეხვედრის დროს გამოვლენილ პრობლემას, რომელიც შეეხება სოფლამდე მისასველელი და შიუდა საუბნო გზების შეკეთებას, საკითხი დამუშავების და განხილვის პროცესშია.

2022 წლის 21 თებერვლიდან აქტიურად ვარ ჩართული ვარ გორის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს საქმიანობაში, ვარ საბჭოს წევრი. ვესწერბი საბჭოს გასვლით სხდომებს, ვმუშაობ სოცალური მიმართულებით, დაყენებული მაქვს ისეთი საკითხები, როგორიცაა: სტუდენტების, ლექტორ-მასწავლებლების და სხვადახვა მოწყვლად ჯგუფებზე მუნიციპალური ტრანსპორტის მომსხაურებაზე შეღავათები და ა.შ.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი სოსიაშვილის ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ.გორი 2022 წლის 27 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ბექა ლობჟანიძე

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: გიორგი სოსიაშვილი

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: გორის მუნიციპალიტეტის ცენტრის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი ინგა ტარიელაშვილი;

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე- ბექა ლობჟანიძე.

დღის წესრიგი

საკრებულოს წევრის გიორგი სოსიაშვილის 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი გიორგი სოსიაშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს. სხდომის დღის წესრიგის მიხედვით სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს გიორგი სოსიაშვილს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრამდე გაწეული საქმიანობის

შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. საკრებულოს წევრმა გიორგი სოსიაშვილმა აღნიშნა, რომ აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომლის გაკეთებაც ვერ მოხერხდა მიმდინარე წლის ბიუჯეტიდან. ყურადღება გაამახვილა ახალგაზრდების აქტიურობაზე და დაპირდა მათ სხვადასხვა სახის მუნიციპალურ პროექტებში ჩართვას. პირველ ეტაპზე უნდა გაიწეროს ახალგაზრდული ღონისძიებების სამოქმედო გეგმა ყველა მხარის ჩართულობით, რისი გათვალისწინებაც მოხდება შემდგომი წლის ბიუჯეტში გარკვეული დაფინანსებით.

ამასთან, მან ისაუბრა აგრეთვე ერთ-ერთ სამომავლო ინიციატივაზე, რომელიც შეეხება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობის დეტალურად აღწერას, რათა აღნიშნულ მოწყვლად ჯგუფებზე მოხდეს გარკვეული სახის დახმარებების გაცემა ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

მოსახლეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს.

აზრი გამოთქვეს: დალი ხაჩიძე, სოფო ედიშერაშვილი, გიორგი გამდლიშვილი, თამარ კაპანაძე, ნინო გოლოშვილი, ივანე ვარდანაშვილი, ხატია ჯალაბაძე, შორენა შოშიაშვილი და მედეა მახარაშვილი.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების შეხვედრებმა და ურთიერთთანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: ბექა ლობჟანიძე

საკრებულოს წევრი: გიორგი სოსიაშვილი